



№ 15 (1361) აგვისტო 1971

საქსი

პაპოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპ.

— ეს ლოთი ღვინის ქარხნიდან ფერმაში რატომ
გაღმოცხანდა?
— იმიტომ რომ, რქის სათოფზე არ ეპარება!



— ეს რა უღელი დაგიდგამს გიჟისთვის? — ხუთი შვილი ქალაქში გაშვება და, იქნება, ეს მაინც არ გამიძვრებს სოფლიდან.

ჩემი მდგომარეობა

(საგამოცდო ხუმრობა)

ოთხი კაცი დამეცა სახლში გუშინ ღამითა, — ყველა ჩემი მეუღლის ყვავი-ჩხიკვის შამიდა.

ოთხივეს სურს მოეწყოს კონსერვატორიაში, ბინად ჩემთან ჩამოხტენენ, ვარ ერთ რია-რიაში.

მოსვლისთანავე შეუდგნენ საგამოცდო მზადებას, მგონი, სულ მიპირებენ ოჯახიდან გაგდებას.

ერთი ვოკალს ამზადებს, ნიჭი გამოპყლია, კედლებს ხეტავს იმისი, დო-რე-მი-ფა-სოლ-ლია.

ერთს საკომპოზიტორო განხრა აურჩევია, უზის ახალ ინსტრუმენტს, ამტვრევს, რაკი ჩემია...

ერთი „ტრუბას“ უბერავს, უკრავს დიდის ამბითა, ერთს თეფშები უჭირავს, დიდის „ცამბა-რამპითა“.

ასეთ „მდგომარეობას“ ვერც ვნახავ, რომ ვეძებო სათლითა, ვერც ხმა ამომიღია ჩემი ცოლის ხათრითა.

მთელი სახლი აიკლეს, დახტიან და როკავენ, ამათ რომ გადავურჩე, მეზობლები მომკლავენ.

ველარც სახლში ვჩერდები, ველარც გარეთ ვისვენებ, ისე გამომატვინეს, ჩემს გვარს ველარც ვიხსენებ.

დარდით უკვე დამეწყო თმების გამეჩხერება, ყველამ რომ ჩააბაროს, მაშინ რა მეშველება?!

ბინად აქ დარჩებთან, მომიჭერენ არტახებს, იფ, რა დღეში ვიქნები, ჩემს ბედს ძალდი არ დაყეფს!

ბ. მავაშვილი

ქიწვენი და სპეცსამუშაოების ინსპექტორის — მირიან ქოიავის კაბიერობა. მირიან ქოიავი ინსტიტუტში მისაღებ აბიტურიენტთა საბუთებს იბარებდა...

— როგორ გიგლო პაპალაშვილის ჯერი მოვიდა, მან შვებით ამოისუნთქა, კაბიერობაში მოკრძალებით შევიდა და საწერ მაგიდასთან გაქიმულ მირიან ქოიავს მოწიწებით გადააწოდა შვილის — გელას საბუთები.

მირიან ქოიავს სათვალე გაისწორა და მიწოდებული საბუთები დაუდევრად გადაათვალიერა...

— თქვენი რა არის ამ საბუთების პატრონი?

— შვილია, პატივცემულო!

— შვილი? — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ქოიავს, — აბა, კი ღირს შვილის გულისთვის ცოტა თავი შეიწუხოს მშობელმა!

— რა თქმა უნდა, პატივცემულო! მერედა, რომ იცოდეთ, როგორი ნიჭიერი ბიჭია, ბავშვობიდანვეა გატაცებული კინოთი.

— ნიჭიერი? — დამცინავდ ჩაიციხა ქოიავს. — სანდო კაცი ჩანხარ, თანაც, გეტყობა, შვილის მოწყობა უმალეს სასწავლებელში სულითა და გულით ვინდა.

— მინდა რომელია, ჩემო ბატონო! ნეტავ, მაგას მოვესწრებოდე და...

— კარგი, კარგი, გენდობი! ყველაფერს გავაკეთებ. ხვალ, დღის 1 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე, ჩვენი სამსახურის წინ დამხვდი და ეგ საბუთებიც იქ მომიტანე! ყველაფერს მოგიგვარებ. ახლა კი წადი, ხომ ხედავ, რამდენი ხალხი მელოდება?!

გ. პაპალაშვილი შვილის საბუთებს ხელი დასტაცა და გაბრწყინებული სახით კაბინეტიდან გავარდა...

მეორე დღეს, ზუსტად 1 საათზე, მ. ქოიავს და გ. პაპალაშვილი დათქმულ ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს და საუბარი რესტორანში განაგრძეს...

— მომიტანე 1000 მანეთი და საბუთებს, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, ჩავიბარებ. გამოცდებზე დახმარება კიდევ ჩემზე იყოს! — შეპირდა ქოიავს.

— ბატონო მირიან, ძალიან ძვირი ყოფილა მოწყობა. მაგდენი არ შემიძლია! 300 მანეთს მოგართმევ!

— კარგი, ჯანდაბას! 400 მანეთი მომეცი, მაგრამ, იცოდეთ, ამას შენი ხათრით ვაკეთებ!

— მეტი რა ძალა მაქვს. შვილი ხომ უნდა მოვაწყო უმალესში, — გაიფიქრა გ. პაპალაშვილმა და მ. ქოიავს იქვე ჩაუთვალა 400 მანეთი.


შეპირების თანახმად, გელა პაპალაშვილი, სხვა აბიტურიენტებთან ერთად, მისაღებ გამოცდებზე დაუშვეს, მაგრამ პირველსავე გამოცდაზე (რუსულ ენაში) ჩაიჭრა...

გიგლო პაპალაშვილი მეორე დღესვე მიადგა მირიან ქოიავს და მოთხოვა, უკან დაებრუნებინა მისი 400 მანეთი, მაგრამ ქოიავს ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: მე ჩემი საქმე ვაკეთებ, გამოცდებზე ხომ დავეშვიო. როცა უარი არ გაუვიდა, 100 მანეთი უკან დაუბრუნა, 300 მანეთზე კი ხელწერილი მისცა, ვითომდა, ეს თანხა სესხად ავიღე და მალე დაგიბრუნებო...

მალე ყველაფერი გაირკვა: მექრთამე მირიან ქოიავს ამხილეს და იგი სამსახურის წინაშე წარსდგა...

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ (ბარბარე არავიაშვილის თავმჯდომარეობით) განიხილა მირიან ქოიავს საქმე და მას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა...

ზაალ მესხიანი



— მეუროგალი გიჩივით, გეპრს ჰამს, მიხედეთ, ღაიღუკებო! — ეგ თუ ჩემზე ზრუნავს, როცა შიშვლით კუჭი მფრვოდა, მაშინ სად იყო?

ნახ. მ. აბაშიძის

თეთრი ყორანი

ერთმა ყორანმა გათეთრება განიზრახა და მტრედს ჰკითხა რჩევა. მტრედმა ურჩია: „ლეშის ჰამას მოეშვი, უადვილო აღდიას ყრანტალს, ჭვრევ-ობლებსთვის წიწილების მოტაცებას და გათეთრდებო“.

ყორანს არ დაუჯდა ჰკუთში მტრედის რჩევა, წავიდა და მელას დეკითხა, რომლის გამჭრიახობაც საჭიერყო იყო განთქმული. მელამ ურჩია: „წადი, ერთი ადუღებული ქვაბი მოსძებნე სადმე, ჩახტი შიგ და, რომ ამოხვალ, სულ თეთრი გახდებო“. ყორანი გაფრინდა, მოსძებნა ერთი მდლარე ქვაბი, ჩახტა შიგ, და რა ამოვიდა, დაინახა რომ ნაქრტენი მთლად გასცვენოდა და გათეთრებულიყო. გაეხარდა ყორანს, ახლა წაველ, თვისტომებს დავენახევი და შურით გავუხეიქავო გულს. დააპირა გაფრენა, მაგრამ ამაოდ, რადგან ფრთებიც ქვაბში ჩარჩენოდა, ნაქრტენთან ერთად. „ეჰ, ისევე სიშავე სჯობნებიაო“, გაიფიქრა ყორანმა, წაფრთხდა, ისევე მელას მიაკითხა თვის სოროში და ჰკითხა, როგორ გავშავდეთ კვლავ.

მელა სიხარულით ცას ეწია. „შემობრძანდი, მეზობელო!“, უთხრა მან ყორანს, „ჩემი შავი სორო გაგაშავებსო ისევე“. ყორანი გაბრძოვდა და შევიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს თეთრი ყორანი.

მიწის მოვალენი

ერთ დილას გლენმა ღორი გამოიყვანა მიწორში დასაკლავად, ვაგლხად აჭყივლებული. ხარები ხნადენენ ამ ღრის მიწას და ერთ-ერთმა მათგანმა მიადახა ღორს: „აბა, რა გეგონა, ძმობილო, უქნარობა, მუცელმტერთობა და განცხრომა რა სიკეთეს მოაწევდა შენს თავზე“.

შუადღისას თავად ეს ნიკორა გამოხსნა პატრონმა უღლიდან, უკვე დაბერდა, მოუსუსტდაო მუხლი და დასაკლავად წაიყვანა. მის ნაცვლად კი ახლადგახდენილი ხარი შეება.

ყოველივე ამას ყურს უგდებდა თხუნელა, მიწაში დამალული. თხუნელამ სთქვა: „ეჰ, ამიტომაც ავარიდე თავი ღვთისა და კაცის სამსახურს, აქ, მიწის სიღრმეში ხომ ვიღარ მომწუღდება კაცთა გულბოროტი მოდგმა“. მაგრამ ხარები ძლიერ ღრმად აბრუნებდნენ გაზაფხულის სითბოსაგან დარბილებულ მიწას და სწორედ ამ ღრის გამოფატრა სახნისმა თხუნელა. იქვე მახლობლად ხეზე მდარი ტოროლა მოსწყდა ტოტს და ეთერში აიჭრა: „ფრთები არ გაგაჩნიათ, ბედ-შავნო, მხოლოდ ფრთები თუ დაგიფარავდათ ჩემებრ სიკვდილისაგან“.

„მაშ, გავიწყდება, რომ სიკვდილი შენზე ფრთამალია?“ — დაიწვილა ალაღმა ღრუბლებში, მეხივით დაეცა ტოროლას და ბუღისკენ გააქანა.

„ტყვიან შენზე ფრთამალი“, ჩაიციანა მონადირემ და ერთის გასროლით ჩამოილო ალაღი ციდან.


ხოლო ანგილოზმა, რომელმაც იმავე საღამოს მიიღო ამ მონადირის სული, სთქვა: „ყველანი სტუმრები ხართ მიწისა, მიწის ვალი გაძევთ ყველას, მიწას კი როდი უყვარს თავის მოვალეთა გათამამება. თქვენი სახლსამყოფი ღვთის საუფლოა, ამას ნუროდეს დაეიწყებთო“, სთქვა და ზეცისაკენ გააქროლა მონადირის სული.

ზვიად პამსახურდინი



სოფლის საპარიკაზხეაროში

დალაქი (ნახევრად გაპარსულ კლიენტს) ღკვი!... კლიენტი (უმწუოდ) — ეეჰ... მოვლივარ!



— ბატონო მოსამართლე, დმერთია მოწვე, რომ...
— რას ამბობ, კაცო, დმერთი კი არა, მოწვედ კაცი ვერ მოგვყავს!



— რა ამბავია, რა მოხდა?
— დავიღუპეთ, ჩვენი რევიზორი გაუქურდავით!
— მერე შენ რა ბატირებს?
— რაჰა რა ბატირებს, შე კაცო, ჩვენი ბაღ-სახდელია!

მე კაფეში ვიჯექი მინისტრთან ერთად და ყავას შევიქცეოდი, როდესაც იგი მოულოდნელად გაჩნდა ჩვენს მაგიდასთან და აშკარად გამოამყლავნა ჩემთვის კამპანიის გაწევის სურვილი. კარგა ხანს ფიქრობდა იგი ჩემი ყურადღების მიქცევას ჩახველებითა და ცხვირის დაცემებით, სანამ კაფეში მსხდომთა ყურადღება არ მიქცია. მარტო მე ვაჩვენებდი თავს ბრძიდ და ყრუ-მუნჯად, მაგრამ მან ინტობარი არ გაიტეხა, კიდევე უფრო ახლოს მოვიდა, დაეყრდნო ჩემი სკამის საზურგეს და თქვა:


— გამარჯობათ!
გაუგებრად წაგიბუტბუტე რაღაც.
— როგორც ვხედავ, ბატონო მინისტრო, თქვენ ისვენებთ. ფინჯანი ყავა შესანიშნავი რამეა. აქ კი არც ისე ცუდად ამზადებენ. ხომ მართალია?
— დიახ. — უბასუხა მინისტრმა.
მე ხმას არ ვიღებდი.
— ახლა მაღალი საზოგადოების ცხოვრების კონცენტრაცია სწორედ კაფეებში ხდება. ჯერ კიდევე ცუდი საბინაო პირობები. მაგალითად, მე უკვე სამი წელია, ბინას ველოდები. ამ ღრის კი საკმარისი იქნებოდა ერთი სიტყვა, რომელიმე გავლენიანი პირის ტელეფონის ზარი და სავითბიც გადაიჭრებოდა.
მინისტრმა ხელის მოძრაობით ანიშნა, რომ მას არაფრის გაცეთება არ შეუძლია.

— ნაცნობობის გარეშე ვერაფერს ვერ გააკეთებ. ჩემს ძმას უკვე მესამედ უთხრეს უარი ლუღის ფარდულის გახსნის ნებართვაზე. თუ იცით, აძლევენ კი საერთოდ ახლა ნებართვას?
— ჩვენ არ ვიცით, — უბასუხე მე მინისტრის მაგივრად. იგი ამ ღრის სულ ერთი წუთით გაჩუმდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, გაფაციცებით ფიქრობდა.
— მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რომელი მოადგილე ანაწილებს ახლა მანქანებს? — ბოლოს და ბოლოს გაიხსენა მან. — თქვენ, ბატონო მინისტრო, ალბათ მას პირადად იცნობთ, მე კი დიდი ხანია ვერ შეიქეილი ამ საქმის მოგვარება.


ჩვენ ჩუმად ვიყავით, იგი კი შუბლს იჭმუნხიდა და გონებაში რაღაცას ალაგებდა.
— ჩემი სიძე სულ ტყუილებრადოდა ჩასვეს თხუთმეტი წლით, თქვენ ხომ ვერ შეძლებდით, ბატონო მინისტრო, გამოგეთხოვთ საბრალდებულო დასკვნა და რითიმე დავგვმარებდით ამ საქმეში.
— ეს საქმე მე არ მეხება, — განუმარტა ჩემმა თანამოსაუბრემ. იგი ისევ და ისევ ფიქრობდა და როგორც ეტყობოდა ახალ-ახალი აზრების მოუფიქრებლობა ტანჯავდა.
— შეიძლება თქვენთან ჩამოვლომა? — იკითხა მან, რომ როგორმე ღრო მოეგო.

— არა! — ვუბასუხე მტკიცე გადაწყვეტილებით.
როცა გადიოდა, მე მას გაცოფებით გაეყოლიე თვალი. ახლა ჩემს მხრივ სისულელი იქნებოდა თხოვნით მიმემართა მინისტრისათვის, რომ დამხმარებოდა ბინის მიღებაში, მანქანის გამოყვანაში და თანაც დაერკვა ჩემი დაპატიმრებული ხულიგანი ბიძაშვილის საქმეზე.

პოლონურიდან თარგმნეს პაპ ანთონ-ლაპამ და სტანისლავ რაზინამ.



— აგერ ღაბრძანდით, პროკოფიჩი, თავს იხატავდით, როგორც საკუთარ ქაბინებში, თათბირში!



— კომენდანტს რომ ჰქვიათ ბუხრის აშენება, ჩვენთვის არ უნდა მკითხება?

სადაურსა სად წაიყვან, ბალო?

ჩა ხოზა გვეოფნის ადამიანებს!

გაპარიალუბული „ვოლგა“ ჩემს წინ მოწყვეტილ დამუხრუტულ და მძღოლმა რიზიანად გადმომძახა:

— ვაა, მასწავლებელს ვახლავარ ოცდაათი ვოლგოსნითა.

დავაკვირდი: ვცნობ კიდევ და ვერცა ვცნობ. შემობატიეა მანქანაში, ხელი ჩამომართვა და „ვოლგა“ გააქროლა.

ბოლოს ჩემი ძველი ნაცნობი ხუხლუზა შევიცანი. დედამისმა მოიყვანა ჩემთან და ყელი გამოიჭამა: ოღონდ ჩემს შვილს დაეხმარე და რაც გინდა მთხოვეო.

— რით შემიძლია გემსახუროთ-მეთქი.
— ორიანი ჰყავს ქართულში, თუ შემოდგომაზე ვერ ჩააბარა გამოცდა, ერთი წელიწადი დაეკარგება! ობოლი ბიჭია, შეიბრაღე.

ეს ბიჭი ქრისტესავით უმამოდ იყო დაბადებული, დედამისმაც არ იცოდა, ვინ იყო ბიჭის მამა.

... დაუდებელიყო, შემომყურებდა ვირთაგვასავით მრგვალი თვალებით, სახე და კისერი აჭარხლებოდა, თავი ოღნავ გადაღრეცილი ჰქონდა, ცხვირის წვერზე ფითრის მარცვლის ოღენა ცინგლი ეკიდა.

სუსლუზას მეკადინეობა დაგაწყებინე.
— რა გქვია, ბიჭო? — შევეკითხე.

— ხუხლუზა ჰქვია, მგელაშვილია გვარადა, მამის სახელს კი თქვენ ვინა გკითხავთ? — გააქიცინა თავი დედამისმა.

... გრამატიკით დაიწყეთ. ნეტავ არც დაგვეწყუო.

იქნება ლიტერატურისა გაეგება რამე-მეთქი. ხუხლუზას მგლისა და კრავის ამბავისათვის ყური ჰქონია მოკრული. ცოტა იმედი მომეცა. მერე ისევ ყრუ და მქედრ თანხმობებზე ჩამოვაგდე სიტყვა. მან საწყალობლად შემომხედა, რა დაგიშავე, რად მაწვალეო.

სასკენი ნიშნების ხმარებაზე ვერაფრით ვერ დავითანხმე.

— მე შეგეგებს ვერ ვისწავლი და ტყუილად ირჯებით.

ნაწერი ჰქონდა ხუხლუზას ისეთი, ვიფიქრე: ამ რჯულქაღალს ნამდვილად ახალი ანბანი გამოუგონია-მეთქი. ... ეჰ, მახლას, ეს ძველი ამბავია,

ახლა კი მის კრიალა „ვოლგაში“ ვზივარ და იგი რიზიანად მეკითხება:

— ისევ მასწავლებლად მუშაობ? „ერთხელ პატარა ბეკეკას დასცხა და წყალი მოსწყურდა...“ არა? ჰო, რას ვიტანჯებოდით, ბიჭო! ვახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, ჩემო ხუხლუზ, რა დამეიწყებ? შენ სად მუშაობ?

— მე ჯერ ერთი ხუხლუზა კი არა, ხუხალ ღუღანიჩი ვარ, ეს ისე, ცნობისათვის. მუშაობით კი დამზადების კანტორაში ვარ.

— ჯამოდის რამე?

— როგორმე... „ჰაკი ვარ და ქუდი მხურავს“. — ჩამიღერა ხუხლუზამ, მკერ შემომთავაზა, — შევიდეთ რესტორანში, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ, კაცნი ვართ.

უარი ვერ ვუთხარი, შევედიო.

— რას მიირთმევთ, მასწავლებლო? — მკითხა ხუხლუზამ და როცა მწვადზე და წითელ ღვინოზე პატივი არ დამიწყია, ოფიციანტს მედიდურად შეუკვივთა, — აბა, ერთი ტკბილი პური გვაჭამე შე და ჩემს მეგობარსა.

რა აღარა ვთქვი მე და ხუხლუზამ, ამ მთისა და იმ ბარისა, იმ ცისა და ამ მიწისა, „ბარათა-შვილსაც კი ჩავუხტით“ — სიმღერითა. წამოსვლა რომ დავაპირეთ, ხუხლუზამ გულსრულად შემომთავაზა:

— ხომ არავერი გჭირდება ჩემგან?

უკბათ ვერაფერი მოვიფიქრე და გავხუმრე:

— კონსულტაცია მჭირდება ქართულში.

— ციმბირიდან რომ დამჭირდეს მოტანა, მოვიატანებ. გინდა „ზაგრანიციდან“ დაკითხვ... ლულანიჩი მოგიკვდის, თუ არ გიშოვო! მიიხტისთვის გჭირდება?

— სახლში ცენტრალურ ვათბობას ვაწყობ და იმისთვის!

— ცენტრალური ვათბობა რაღა არი?

— „პარავი ატაპლენი“.

ხუხლუზას ვაკვირვებისგან მოღრეცილი თავ-კისერი გაუსწორდა.

— ვა... უეჭველად გიშოვნი, რაკი დაგპირდი! ღმერთმა ძმაკაცები ნუ დამილიოს!

მოვდიოდი და გულში სულაც არ მეცინებოდა.

ისევ წვრილმანებს უნდა შევეხო, მე დღეს, ამ ხაზით, თავს არ ვიზღუდავ, რადგან ყოველი მსხვილმანი საქმე წვრილმანებიდან იწყება მუდამ.

მიყვარს, როდესაც გულთბილი სიტყვა წამლად ედება წყლულს და იარებს, მე სხვისი ერთი ღმილიც მათრობს, რა ცოტა გვეოფნის ადამიანებს!

არ მიყვარს ჩხუბი, აყალმყალი, მძულს, ვინც ქუჩაში ყვირის, ღრიალებს...

ხულიგნობაზე თხუთმეტ დღემდეა, რა ცოტა გვეოფნის ადამიანებს!

მე მიყვარს ახალმოსახლეობა, თუ მასთან მარნის კარიც ჰქრიალებს, ცხრა-ცხრა ოთახი, შვილი კი ერთი... რა ცოტა გვეოფნის ადამიანებს!

მე მიყვარს სპორტი, მიყვარს „დინამო“, უფებურთობა ღმერთმა გვარდილოს, ერთ რამედა ღირს, თამაშს რომ ვაგებთ, და კანფეტით ვკლაავთ ვალიდოლს.

ბკვლავენ და მაინც ვერ ვთმობთ სტადიონს, ამ გულისტკივილს რა დაგვიამებს!

თითო წაგება — თითო ინფარქტი... რა ცოტა გვეოფნის ადამიანებს!

როცა ვამოწმებ ლატარიის ცხრილს, გული ჩიტვით ხტის და ფრთხილდება. „ზაპოროჟეცის“ მოგებაც მაწყობს, რა ცოტა გვეოფნის ადამიანებს!

სულფიდური ლარნაკი

ოთხშაბათს ხმა დაირხა, ხუთშაბათს, დილით, ბროლისა და მინანქრის სპეციალიზებულ მაღაზიაში, მშრალი წნეხით დამზადებული ჩეხური სულფიდური მინის ლარნაკები გაიყიდებოდა.

დილაადრიან სპეციალიზებულ მაღაზიას აუარება ხალხი მიაწყდა. გემოვნებით გაფორმებული დარბაზები სულფიდური მინის ნაწარმით იყო დაძველებული. თაროებიდან მზის სხივებით გაბრწყინებული ისედაც მოელვარე ლარნაკები აისის, დაისის, ოგისის, კავისის, გრემის, კონდრის, ზაფრანისა და მიხაკისდარად ელვარებდნენ...

ამ უჩვეულო სანახაობით დატყვევებულ მომხმარებელთა თვალები სულფიდური მინის ლარნაკებისაკენ იყო მიპყრობილი. ნატიფი გემოვნებით დამზადებული მომცრო ტანის, ოდნავ გამჭვირვალე ოვალური ფორმის ორწახნაგა ყელყარყარა ლარნაკები ცისარტყელის ფერებზე იღვრებოდა. ადრე ამდგარი ხალხი ადრიატიკის ზღვისავეთ ღელავდა...

უცერად მაღაზიის კარი ხმაურით გაიღო და მოზღვავებული ხალხის ნაკადი მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით დაიძრა დასლებისაკენ. გზადმიმავალი ვიღაც მეზღვაური მომხმარებელთა ტალღამ მორიგით აიტაცა, ნაფოტივით შეათამაშა და მაღაზიაში შეიყოლია.

გაჩაღდა ვაჭრობა, გაცხარდნენ მომხმარებლები. უკანა რიგებიდან ისმოდა გამყიდველთა მიმართ მომხმარებელთა აღშფოთებული შეძახილები:

— ჩვენც ოჯახის შვილები ვართ! ჩვენცა გვაქვს გემოვნება! ჩვენც გვიინდა ჩეხური ლარნაკებით დავამშვენოთ თაროები!

— ერთ სულ მოსახლეზე ერთზე მეტ ლარნაკს ნუ გასცემთ, თორემ საჩივრის წიგნს სპარსულ ხალიჩასავეთ ავიჭრებლებო!

— ღმერთო, იმდენ ხანს მაცოცხლე, სანამ ქართულ ნაწარმზეც, იმპორტული საქონელივით, ასეთი რიგი გაიმართება! — ინატრა ვიღაცამ.

ის იყო, მეორემ მესამეს თვალით ანიშნა, მეოთხემ მეხუთეს მიბივი ხელი ჩაუყვო, რომ, ამ დროს, მილიციის უმცროსმა ლეიტენანტმა დააკავა ქორვაჭარი, რომელიც ხუთ მანეთად ნაყიდ ლარნაკებს, იქვე, სამშაგ ფასში ჰყიდდა.

— შენი ოჯახი აშენდეს! — მოუწონა გამბედაობა ერთმა.

— ღმერთმა მაგენის თავი ნუ მოგვიშალოს, — თქვა მეორემ, — ტყუილად კი არ უთქვამს ჩემს თანასოფელს, ბაღდადეგ მაიაკოვსკის, ჩემი მილიცია მე მიცავსო! — დასძინა მესამემ.

— გაუშვი, ბიძია, იქნებ თავისით გამოსწორდეს... — კამათი შეაჯამა მეხუთემ.

— გამიშვი რა, კაცი არა ხარ? პატიოსან სიტყვას გაძღვე, თუ გამიშვებ, იმპორტულ საქონელს ახლოს არ გავუქარებ! — თავი მოისაწყლა ქორვაჭარმა.

უმცროსმა ლეიტენანტმა ირონიით გახედა წელში ოთხადმოკეცილ ქორვაჭარს, ლარნაკი ხელში შეათამაშა, გადამყიდველი იქვე მდგომ სერჟანტს გადააბარა და დიმილით წარმოთქვა: რას მიედ-მოედები, მოქალაქე! რის იმპორტული? ვერა ხედავ, ლარნაკი საქართველოშია დამზადებული?

ყველამ კარისაკენ იბრუნა პირი...

— მოიცათ, ხალხო! პროვოკაციას არ წამოეგოთ! — რაფინირებული ჯენტლმენის ხმით შეჰყვირა ვიღაც მამაკაცმა. ქაშაყივით ერთმანეთს მიკრული ხალხი ყინულმჭრელივით გააპო, ლეიტენანტს მიუახლოვდა, ჯიბიდან გამადიდებელი შუშა ამოიღო და იარაღიყარულ ლარნაკს სასოებით გახედა, უღვაში ნერვულად შეათამაშა, წარბი ზევით აქანა და შეჰყვირა: ლეიტენანტი მართალი ყოფილა, იმპორტული არ არის!

ლარნაკზე გორდებისანის შრიფტით დაწერილი მიკროწარწერა გამოსკვიოდა — „ქუთაისის სულფიდური მინის ექსპერიმენტული ქარხანა“. პირში ჩალაგამოვლებული მომხმარებლები თვალის დახამამებაში დაიშალნენ.

— ვა, აფსუსი არ არის ჩვენ საქონელზე დამიჭირონ? — ინანა ქორვაჭარმა.

ბროლ-მინანქრის მაღაზია იკეტებოდა, როცა მის წინ ცისფერი ავტობუსი და მუხრუჭდა. იქიდან უცხოელ ტურისტთა დიდი ჯგუფი გადმოვიდა.

ტურისტებმა თაროებიდან ქუთათური ლარნაკები გადმოაღებინეს, „გუტ-გუტის, ვერი გუტისა და ვანდერფულის“ შეძახილებით ორ-ორი, სამ-სამი და ოთხ-ოთხი ყელყარა ლარნაკები შეაფუთინეს და გაავსეს ავტობუსი.

თენგივ პირველი

ორი ინფორმაცია

გაყიდული ფენი

(ადიგენი)

მანქანის ქვეშ მოჰყვა კაცი —
ოვანოვი ოთარი.

გმინავს ვუა კარტოზია —
მძლოლი შენაშფოთარი:

— ცოცხალი ხარ?

— ფეხი მომტყდა,

მიჩანს ძვლები შიშველი...

— მაგ ფეხს რამე ეშველება,
მაგრამ მე რა მიშველის?...—

მერე ბევრი ივაჭრეს და

შოფრის საქმე გაკეთდა:

მას მიჰყიდა ოვანოვმა

ფეხი... ხუთას მანეთად.

ესე საქმე ვით გაიხსნა,

აღარ გავიმეორებ,

სამართალმა მიიბარა.

ერთიცა და მეორეც.

გაჩერებული მისცხველი

(დმანისი)

კურდიღისი ხარლამში

შოფერია ფიცხელი,

ტაქსს დაფრენს, ჩართვა კი

ავიწყდება პრიცხველის.

შემოსავალს მთლიანად

თვით-რომ დაეპატრონა,

რალა რჩება დმანისის.

სატრანსპორტო კანტორას?

გაიოზ უავერუხვილი



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუფუაძე

სარედაქციო
კოლეგია:

ზ. გოლჭვაძე
(პ/მზ. მღივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალონი,
ბ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი,
პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.

საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად
12/VII-71 წ.

ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 29/VII-71 წ.

მაღალღის ზომა
70x108¹/₈.

ფონიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,

სააღრიცხვო-საგამომცემ-
ლო თაბახი 1,4.

საბ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლოგის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ГБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეკვ. № 2461.

შეკვ. № 02120.


ბირაჟი 128.400.



თავიანი ცოლი ბოსონთ ტელეფონთან!
— თუ ბოსონს, ჩემი ცოლი არ იმეება.



ნ. ს. ცინცაძისა



11
1971

71-509

ს.ბ. ბ. ლ. მ. მ. მ. მ.

ინგლისელი „ექსპერტები“ სამსახურს
უწვევენ ამერიკელ აგრესორებს ვიეტნამ-
ელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ლომი მემკვიდრე ქალის როლი

